ბრძანება:**ბ12. 122403728**

თარიღი:**06/02/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119- ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“-ა და „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 იანვრის № გ-13.13240306 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ახალციხეში, პაატა ნათენაძის ქ. №20-ში, (ს.კ. 62.09.58.539) მდებარე 8573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 36 კვ.მ. ფართისა და მასზე განთავსებული საბავშვო კარუსელის განკარგვასთან დაკავშირებით;
2.ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახალციხეში, პაატა ნათენაძის ქ. №20-ში, (ს.კ. 62.09.58.539) მდებარე 8573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 36 კვ.მ. ფართისა და მასზე განთავსებული საბავშვო კარუსელის საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 2160 (ორი ათას ას სამოცი) ლარის ოდენობით, შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2024 წლის 25 იანვრის N26 აუდიტორული დასკვნის თანახმად;
3.უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია „ბე“ განისაზღვროს საწყისი წლიური საიჯარო თანხის 50%-ის ოდენობით;
4.ბიჯი განისაზღვროს 45 (ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით;
5.განისაზღვროს პირობიანი ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო: 2024 წლის 06 თებერვლის 16:00 საათიდან - 2024 წლის 15 იანვრის 16:00 საათამდე;
6.პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/

უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ჩაეთვალოს სარგებლობის ხელშეკრულების ვადის ბოლო პერიოდში გადასახდელი ქირის ოდენობაში;
7.პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გაფორმდეს სარგებლობის ხელშეკრულება;
8.აუქციონში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული სარგებლობის ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 2 წლის ვადით;
9.თანხა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:
მიმღების დასახელება: „ხაზინის ერთიანი ანგარიში“
მიმღები ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა“
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300883047
10.პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, მისთვის გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისას დაიცვას აუქციონის ან/და სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები და სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
11.აუქციონში გამარჯვებულმა პირმა სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება უნდა გამოიყენოს დანიშნულების შესაბამისად;
12.აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია გადაცემული ქონებით სარგებლობის ყოველი წლის 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, საქმიანობა განახორციელოს ანაზღაურების გარეშე;
13.უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკურმა სამსახურმა წინამდებარე ბრძანების განთავსება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას;
14.უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის შესახებ ინფორმაციის განთავსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge;
15.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
16.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი